



Shape the future
with confidence

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

აპრილი - ივნისი 2026

ამოქმედდა ახალი კატეგორიის ვიზები

- ▶ 2026 წლის 15 აპრილს და 2026 წლის 29 ივნისს გამოქვეყნდა საკანონმდებლო აქტები, რომელთა შესაბამისად ცვლილებები შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში.
- ▶ ცვლილებებით, დაინერგა ახალი, C5 კატეგორიის მოკლევადიანი ორდინალური ვიზა და D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა.
- ▶ ცვლილებების შესაბამისად, C5 კატეგორიის მოკლევადიანი ორდინალური ვიზა გაიცემა ტურისტული მიზნით საქართველოში შემოსულ უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას უფლება აქვს, განახორციელოს საქმიანობა მხოლოდ არარეზიდენტი პირის სასარგებლოდ, თუ ეს საქმიანობა უკავშირდება არარეზიდენტი პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანობას.
- ▶ ცვლილებებით, C5 კატეგორიის მოკლევადიანი ორდინალური ვიზა გაიცემა 5 წლის მოქმედების ვადითა და საქართველოში 1 წლის ვადით ყოფნის უფლებით.
- ▶ ცვლილებების თანახმად, D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა გაიცემა 1 წლის ვადით, საქართველოში ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/მყოფ არასრულწლოვან პირზე, აგრეთვე მის მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე და არასრულწლოვან და-ძმაზე უცხოელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.
- ▶ C5 კატეგორიის ვიზასთან დაკავშირებული ნორმები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო D6 კატეგორიის ვიზასთან დაკავშირებული ნორმები ამოქმედდება 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 15/04/2026

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 29/06/2026

გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი დაზუსტებები შრომითი საქმიანობის უფლებასთან დაკავშირებით

- ▶ 2026 წლის 15 აპრილს საქართველოს პარლამენტმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ▶ ცვლილებების თანახმად, შრომითი საქმიანობის უფლება არ ესაჭიროება უცხოელს, რომელიც:

- ▶ საქართველოში დროებითი ვიზიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოკლევადიან პროფესიულ საქმიანობას, თუ აღნიშნული საქმიანობა დაკავშირებულია კონკრეტულ მოკლევადიან პროექტთან.
- ▶ საქართველოში შრომით საქმიანობას ან მომსახურების გაწევას ახორციელებს არარეზიდენტი დამსაქმებლის ან არარეზიდენტი მომსახურების მიმღები პირის სასარგებლოდ და მისი საქმიანობა უკავშირდება ამ არარეზიდენტი პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ განხორციელებულ საქმიანობას.
- ▶ საწარმოში ეწევა ხელმძღვანელობით ან მმართველობით საქმიანობას ან ახორციელებს საქმიანობას აუდიტის კომიტეტში, თუ შესაბამისი კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი აქტივების, შემოსავლისა და თანამშრომელთა რაოდენობის კრიტერიუმების შესაბამისად მიეკუთვნება პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის საწარმოს.
- ▶ ცვლილება ამოქმედდა 2026 წლის 15 აპრილიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 15/04/2026

საქართველოს პარლამენტმა „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო

- ▶ 2026 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა სხვა დაკავშირებულ ცვლილებებთან ერთად „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ▶ ცვლილებების თანახმად, ტურისტული საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულო ხდება ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ბაზაში რეგისტრაცია.
- ▶ ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხა, მათი განხორციელებისთვის საჭირო სერტიფიცირების წესები და ვალდებულებები.
- ▶ ცვლილებების თანახმად, საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს ტურისტული მომსახურებების განმახორციელებელი სუბიექტები, რომელთათვისაც სავალდებულო იქნება პროფესიული პასუხისმგებლობის ან/და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.
- ▶ ცვლილებებით, რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების კანონის დარღვევით განხორციელება დაჯარიმდება 500-დან 6 000 ლარამდე.
- ▶ ცვლილებები ძალაში შევიდა 2026 წლის 1 ივნისიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი](#). 20/05/2026

დაწესდა ახალი კატეგორიის ნებართვები სათამაშო ბიზნესის სფეროში

- ▶ 2026 წლის 25 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ▶ ცვლილებებით, სათამაშო ბიზნესის სფეროში განისაზღვრა ახალი კატეგორიის ნებართვები ისეთი საქმიანობებისთვის, როგორებიცაა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის, სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორის თამაშობების საერთაშორისო ორგანიზება.
- ▶ ცვლილებების თანახმად, ახალი ნებართვის მფლობელი პირისთვის აკრძალული იქნება საქართველოს მოქალაქის დაშვება სისტემურ-ელექტრონული ფორმით საერთაშორისოდ ორგანიზებულ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაში მონაწილეობისთვის.
- ▶ ახალ ნებართვებთან დაკავშირებული ცვლილებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 03/07/2026

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 1 000 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის მიიღო

- ▶ 2026 წლის 15 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 1 000 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესი მიიღო.
- ▶ წესის თანახმად, არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ზღვარი 750 000-დან 1 000 000 ლარამდე იზრდება.

- ▶ წესის თანახმად, სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 1 000 000 ლარამდე სესხი/საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:
 - ▶ მსესხებლის ჯამური ვალდებულება იმავე გამსესხებლის მიმართ 1 000 000 ლარს აღემატება;
 - ▶ მსესხებელი არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი;
 - ▶ სესხი სრულად არის უზრუნველყოფილი იმავე ვალუტის ფულადი სახსრებით;
 - ▶ მსესხებელი შემოსავალს სრულად იღებს სესხის შესაბამის ვალუტაში;
 - ▶ ხორციელდება იმავე ვალუტაში რეფინანსირება/რესტრუქტურირაცია და ამასთან არ იზრდება ვალდებულების მოცულობა.
- ▶ წესის მოთხოვნები ვრცელდება თავდებზეც, გარდა იურიდიული პირებისა და კანონით განსაზღვრული ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა.
- ▶ წესი ვრცელდება საბანკო გარანტიისა და აკრედიტის საფუძველზე წარმოშობილ გადასახდელ ვალდებულებებზეც, როდესაც თანხა სესხის გამცემი ორგანიზაციისთვის გრაფიკით არის გადასახდელი.
- ▶ წესი ძალაში შევიდა 2026 წლის 1 ივლისიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 15/06/2026

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგადახდო სისტემაში ჩართვის წესი მიიღო

- ▶ 2026 წლის 24 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო ბრძანება N96/04 საგადახდო სისტემაში ჩართვის წესის შესახებ.
- ▶ წესით განისაზღვრა ძირითადი მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკი, მიკრობანკი, მნიშვნელოვანი საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, საბანკო ან მიკრობანკის ლიცენზიის მამიებელი პირები საგადახდო სისტემაში ჩართვის მიზნით.
- ▶ წესის შესაბამისად, საქართველოს ბანკი სუბიექტის საგადახდო სისტემაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 60 დღეში.
- ▶ წესით განისაზღვრა საგადახდო სისტემაში მონაწილეობის პროცესში სუბიექტის ვალდებულებები, მათ შორის წელიწადში სულ მცირე ერთხელ ინფორმაციული უსაფრთხოების კვალიფიციური აუდიტისა და შეღწევადობის ტესტირების ვალდებულება.
- ▶ წესის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს საზედამხედველო ზომები ან სანქციები იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც არღვევენ წესით განსაზღვრულ ვალდებულებებს.
- ▶ წესი ამოქმედდა 2026 წლის 24 აპრილიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 24/04/2026

საქართველოს პარლამენტმა „ფაქტორინგის შესახებ“ კანონი მიიღო

- ▶ 2026 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა „ფაქტორინგის შესახებ“ კანონი მიიღო.
- ▶ კანონის თანახმად, ფაქტორინგი არის ფინანსური გარიგება, რომლის შესაბამისადაც მეწარმე თავის მოთხოვნას (დებიტორულ დავალიანებას) მესამე პირის მიმართ საკონლოს მიწოდების ან მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასცემს ფაქტორს.
- ▶ კანონის თანახმად, შეიქმნება ფაქტორინგის რეესტრი, რომელშიც დარეგისტრირდება ფაქტორინგის ხელშეკრულება და დაკავშირებული ინფორმაცია.
- ▶ კანონი ითვალისწინებს ფაქტორინგული ელექტრონული პლატფორმის შექმნას, რომელზეც ფაქტორები თავიანთ შეთავაზებებს განათავსებენ, ხოლო მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ სხვადასხვა პირობის შედარების საფუძველზე საუკეთესო ვარიანტი შეარჩიონ.
- ▶ კანონი ამოქმედდება ეტაპობრივად, ხოლო სრულად ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 06/04/2026

2027 წლიდან წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის საფასური იზრდება

- ▶ 2026 წლის 5 ივნისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები მიიღო „შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში.
- ▶ ცვლილებით გაიზარდა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის საფასური.
- ▶ ცვლილების ამოქმედებამდე წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნის წარდგენის ფასი 10 000 ლარს შეადგენდა, ცვლილების ამოქმედების შემდგომ კი ეს ღირებულება 20 000 ლარი გახდება.
- ▶ ცვლილების მიხედვით, წინასწარი გადაწყვეტილების საშეღავათო განაკვეთი იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც მოთხოვნის წარდგენის წინა კალენდარული წლის მიხედვით იყვნენ საქართველოს რეზიდენტები, გაიზრდება 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.
- ▶ ცვლილება ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 08/06/2026

გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილებები

- ▶ 2026 წლის მაისსა და ივნისში გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №142, №143, №147 და №175 საჯარო გადაწყვეტილებები.
- ▶ №142 საჯარო გადაწყვეტილება შეეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ან მხარდაჭერილი ცალკეული ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის საკითხებს.
- ▶ №143 საჯარო გადაწყვეტილება შეეხება ფიზიკური პირის მიერ აქტივის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხებს.
- ▶ №143 საჯარო გადაწყვეტილების მიხედვით, საცხოვრებელი ბინის/სახლის კლასიფიკაციისაგან საგადასახადო მიზნებისთვის გამორიცხულია მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქონების მიწოდება და სასტუმროს ინფრასტრუქტურის ფარგლებში არსებული ფართობების მიწოდება.
- ▶ №175 საჯარო გადაწყვეტილებით დაზუსტდა №143 საჯარო გადაწყვეტილების შინაარსი, რომლის მიხედვითაც სისტემურ და ორგანიზებულ საქმიანობად მიიჩნევა ისეთი საქმიანობა, რომლის ფარგლებში პირი აქტივების შექმნას, შეძენას ან რეალიზაციას ახორციელებს როგორც დამოუკიდებელ და ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას, რეგულარული შემოსავლის მიღების მიზნით.
- ▶ №175 საჯარო გადაწყვეტილების მიხედვით, საცხოვრებელი ბინების/სახლების მხოლოდ ფლობა, მათი რაოდენობა, ფლობის ხანგრძლივობა და შემდგომი გასხვისება, თავისთავად არ წარმოადგენს საქმიანობის სამეწარმეო საქმიანობად დაკვალიფიცირების საკმარის საფუძველს.
- ▶ №147 საჯარო გადაწყვეტილებით დაზუსტდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის №195 საჯარო გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც შეეხება გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხებს.
- ▶ №147 საჯარო გადაწყვეტილებით დაზუსტდა, რომ თუ შერეული (ფულადი და არაფულადი) ანაზღაურების პირობებში კომპეტენტური შემფასებლის/ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, პირის (კომპანიის) მიერ მიღებული ქონების (მიწის ნაკვეთის) საბაზრო ფასი ნაკლებია გარიგების ფასზე, დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრისას, ნაცვლად საბაზრო ფასისა, გამოიყენება მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების ფასი.
- ▶ საჯარო გადაწყვეტილებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#) 15.05.2026

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#) 15.05.2026

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#) 19.05.2026

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#) 10.06.2026

შეიცვალა მსუბუქი ავტომობილებზე აქციზის განსაზღვრის წესი და განაკვეთები

- ▶ 2026 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებები მიიღო.
- ▶ ცვლილებებით განისაზღვრა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთის განსაზღვრის ახლებური სისტემა და აქციზის განაკვეთები.

- ▶ ცვლილებების შედეგად, 0-დან 6 წლის ასაკის ჩათვლით მსუბუქი ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთი შეადგენს 1.50 ლარს ძრავის მოცულობის თითოეულ 1 სმ³-ზე, ხოლო 6 წელზე მეტი ასაკის მსუბუქი ავტომობილისთვის აქციზის განაკვეთი შეადგენს 4.50 ლარს ძრავის მოცულობის თითოეულ 1 სმ³-ზე.
- ▶ ცვლილებებით, აქციზის განაკვეთი 0-დან 6 წლის ასაკის ჩათვლით მარცხენასაჭიანი ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილებისთვის 60%-ით მცირდება, ხოლო მარჯვენასაჭიანი ან საჭეგადატანილი მსუბუქი ავტომობილებისთვის სამჯერ იზრდება.
- ▶ ცვლილებების თანახმად, ელექტროძრავიანი მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში, თუ ავტომობილი მარცხენასაჭიანია, იგი თავისუფლდება აქციზის ვალდებულებისგან, ხოლო მარჯვენასაჭიანი ან საჭეგადატანილი ავტომობილისთვის აქციზის ფიქსირებული განაკვეთი შეადგენს 3 000 ლარს.
- ▶ ცვლილებებით გარდამავალ პერიოდში გათვალისწინებულია რიგი გამონაკლისები, მათ შორის, ცვლილებების ამოქმედებამდე დაწესებული აქციზის განაკვეთით იბეგრება ის ავტომობილები, რომელთა რეგისტრაცია ან შესაბამისი აღრიცხვის დოკუმენტების გამოწერა განხორციელდა ამავე ცვლილებების ამოქმედებამდე.
- ▶ ცვლილებები ამოქმედდა 2026 წლის 2 აპრილს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 01/04/2026

საკონტაქტო ინფორმაცია:



ტატო ჩანტლაძე

მმართველი პარტნიორი
შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: +995 (32) 215-88-11

Tato.Chantladze@ge.ey.com

საკონტაქტო ინფორმაცია:



ელენე სულხანიშვილი

უფროსი მენეჯერი
შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: + 995 599 135 363

Elene.Sulkhaniashvili@ge.ey.com

საკონტაქტო ინფორმაცია:



ზაქარია შველიძე

Of Counsel

შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: + 995 593 322 727

Zakaria.Shvelidze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახდო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელი კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2026 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

<http://www.ey.com/georgia>